ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N21

ქ.თბილისი

15 ივნისი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
ოთარ გრიგოლია
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
თევდორე ისაკაძე
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ჯაბა ჯიშკარიანი
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
მარინა დათუკიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზრდა კარგია, თუმცა უკეთესი იქნებოდა მისი გადანაწილება იმ საჭიროებების მიხედვით, რაც რეალურად აწუხებს თბილისს და თბილისელებს და ისაუბრა რამდენიმე დღის წინ არსებულ სატრანსპორტო კოლაფსზე, რომელიც გამოიწვია მეტროს თანამშრომლების გაფიცვამ, ხელფასის გაზრდის მოთხოვნით. მისი თქმით, მეტროს თანამშრომლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას სჭირდებოდა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს წარმოდგენილ გაზრდილ ბიუჯეტშიც, იმ ფოზე, როდესაც მერის სარეზერვო ფონდი, საიდანაც ყოველგვარი წესის გარეშე, ქალაქის მერი სუბიექტურად განკარგავს თანხებს, იზრდება ნახევარი მილიონი ლარით, არაფერია გათვალისწინებული ამ მიმართულებით. ასევე, სამწუხაროა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში საკრებულოს სატრანსპორტო კომისია არ შეიკრიბა, რათა ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მისთვის გაუგებარია, რა დროს უნდა შეიკრიბოს სატრანსპორტო კომისია, თუ არა სატრანსპორტო კოლაფსის დროს. ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას „როდესაც მგზნებარედ გადაწყვეტთ, რომ სისხლიანი ცხრა წელი შეგვახსენოთ, არ დაგავიწყდეთ, რომ იმ „სისხლიანი რეჟიმის" დამფინანსებელი გახლდათ ახლა უკვე თქვენი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი". მისი თქმით, ძალიან სამწუხაროა, როდესაც დედაქალაქის მერი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატზე აცხადებს, რომ ის დააშინეს, რადგან „შეშინებული პრემიერ-მინისტრი არავის სჭირდება".

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი 10 მილიონი ლარი, რომლითაც იზრდება ბიუჯეტი, არის მიზნობრივი თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და აქედან გამომდინარე, სხვა მიმართულებით ვერ იქნებოდა გადანაწილებული.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ისაუბრა გენ.გეგასთან დაკავშირებით ბიუჯეტის ზრდაზე და განაცხადა, რომ თითქოს კარგია ამ მიმართულებით დაფინანსების ზრდა, თუმცა ეს ნიშნავს, რომ ამ ცვლილებით მას ემატება დეტალური დაგეგმარება და ჩარჩო-გეგმები, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლავ ვერ მივიღებთ გენ.გეგმას და მისი საფარველის ქვეშ გაგძელდება დაუსრულებელი სამუშაოები. აქედან გამომდინარე, მოუწოდა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს და დედაქალაქის მთავრობას, მივიღოთ გენ.გეგმა, ხოლო მისი ქვემდებარე აქტები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია გადავიტანოთ არსობრივი ქმედების ქვეშ და ნუ დავტვირთავთ გენ.გეგმას ისე, რომ ქალაქში გაგრძელდეს დღეს მიმდინარე ქაოსური პროცესები.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ გენ.გეგმის მიმართულებით გამოყოფილი 500000 ლარი არავითარ კავშირში არ არის გენ.გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან, თანხა განკუთვნილია გენ.გეგმისთვის საჭირო კვლევების საწარმოებლად და ჩარჩო-გეგმების მოსამზადებლად, მათ შორის, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ჩარჩო-გეგმის დამუშავებისთვის. ლევან ხაბეიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, თითქოს მეტროს თანამშრომლების ხელფასების გაზრდისთვის საკმარისი იქნებოდა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი, განმარტა, რომ ამისთვის საჭიროა რამდენიმე მილიონი ლარი, რადგან ასეთ შემთხვევაში უნდა გაიზარდოს კომპანიის სახელფასო ფონდი და არა მხოლოდ 220 თანამშრომლის ანაზღაურება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, თვის ბოლოს საკრებულოში დაიწყება გენ.გეგმის განხილვა და დაეთანხმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ჯერ დამტკიცდეს დოკუმენტი, ხოლო შემდგომ მისი ქვემდებარე აქტები.

ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი 10 მილიონი ლარი არის სპეციალური ტრანსფერი, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოყო რეგიონების განვითარების ფონდიდან და ის უნდა მოხმარდეს გზების რეაბილიტაციას. არასერიოზული განცხადება უწოდა იმას, თითქოს მეტროს თანამშრომლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას სჭირდებოდა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი, რადგან კომპანიაში დასაქმებულია დაახლობით 2500 ადამიანი და მათი ნაწილისთვის ხელფასის მომატება, ხოლო ნაწილისთვის არა, „შერჩევითი სამართალია", რაც მისი თქმით, ახასიათებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებას. ლევან ხაბეიშვილის სიტყვებზე, თითქოს საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი „სისხლიანი რეჟიმის" დამფინანსებელი იყო, განაცხადა, რომ მაშინდელი ხელისუფლება აიძულებდა ბიზნესს შემოწირულობის სახით გადაერიცხა თანხა მმართველი პარტიისთვის. ირაკლი ზარქუამ ისაუბრა მერის სარეზერვო ფონდისთვის დაფინანსების დამატებაზე და განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციის შემდეგ განსახორციელებელ სამუშაოებზე დაიხარჯა დაახლოებით 700000 ლარზე მეტი და დღეს ამ მიმართულებით თანხის დამატება გამოწვეულია იმით, რომ მერის სარეზერვო ფოდი ფაქტობრივად „დაცარიელებულია და სჭირდება შევსება".

ოთარ გრიგოლიამ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „ჩემზე უფრო დიდი ქომაგები მშრომელთა მიმართ არასდროს ყოფილხართ და მერწმუნეთ, თუ რაიმე საშუალება იქნებოდა თბილისის ბიუჯეტში, აუცილებლად იქნებოდა გადამისამართებული ამ მიმართულებით". მისი თქმით, აღნიშნული საკითხი მოგვარებულია, პრობლემა გადაჭრილია და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს მშრომელთა მიმართულებით არასდროს გადაუდგამთ არც ერთი ნაბიჯი და მათი მხრიდან, ამასთან დაკავშირებით, დღეს გაკეთებულ განცხადებებს პოპულისტური უწოდა.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ყველას ახსოვს 2012 წლის წინასაარჩევნო კლიმატი, თუ რა საკანონმდებლო შეზღუდვები და რეგულაციები იქნა შემოღებული, საიდან გამომდინარეც ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა შემომწირველთა სიაში. შესაბამისად, დღეს ამაზე საუბარი უხერხულია.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა მეტროს თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდაზე და აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არ არსებობს შემთხვევა, რომ ხელფასი გაეზარდოს მხოლოდ ამ მოთხოვნით გაფიცულ ადამიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კომპანიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვისას, სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მერიის შპს-ებსა და ა(ა)იპ-ებში ხელფასების მატება არ შეიძლება, რადგან ეს არის ადმინისტრაციული რესურსის ხარჯვა და რომ სწორედ ამ შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაციის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა პენსიების მატება და ა.შ. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ მაშინ ხელფასების მატება არარელევანტური იყო, ხოლო ეხლა, როდესაც ამ მიმართულებით გაჩნდა პროტესტი, ხელფასების მატება დასაშვებია, რაც, მისი თქმით, მიუღებელია. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დღეს ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან ურთიერთობა არსებითად განსხვავდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდისგან, რადგან უმაღლესი თანამდებობის პირები მოსახლეობის პროტესტს აგენტურის საშუალებით კი არ ახშობენ, არამედ მათთან მოლაპარაკებებზე მიდიან.

თევდორე ისაკაძემ, თუ რატომ არ გაიმართა საკრებულოს სატრანსპორტო კომისიის საგანგებო სხდომა იმ დღეებში, როდესაც მეტროს თანამშრომლები იყვნენ გაფიცულები განმარტა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო, კომისიას ოპერატიულ რეჟიმში უწევდა მუშაობა, მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ კომპანიის წარმომადგენლებთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან. ამ ეტაპზე საკითხი მოგვარებულია, თუმცა მუშაობა გრძელდება ამ ადამიანებისთვის შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან პრემიერ-მინოსტრობის კანდიდატზე წამოწყებული კამპანია გასაკვირი არაა, რადგან მათ, არათუ ხელისუფლების, არამედ, ქვეყნის კეთილდღეობა და წარმატება არ უნდათ. „ქართული ოცნების“ ახალი ადმინისტრაციის პირობებში კიდევ ერთხელ იზრდება თბილისის ბიუჯეტი და მოზიდული თანხა ნაწილდება რაციონალურად და მიზნობრივად. ვახტანგ შაქარიშვილმა გენ.გეგმის შემუშავებაზე აღნიშნა, რომ თბილისის ტერიტორიაზე გამოყოფილია 12 არეალი, სადაც მუნიციპალიტეტი, კონკურსისა და ტენდერის გზით, მოამზადებს ჩარჩო-გეგმებს, რომლებიც აუცილებელია გენ.გეგმის მიღებისთვის და რომლებიც განსაზღვავს თბილისის ინტერესებზე მორგებულ წესებს, რომლის მიხედვითაც განვითარდება ქალაქი და განაცხადა, რომ მიუღებელია ინფორმაციის ნაკლებობაზე დაფუძნებული განცხადებების გაკეთება და ამ გზით საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

გიორგი გაბაშვილმა მიმართა ვახტანგ შაქარიშვილს, რომ არსებობს ისეთი კონსტრუქცია, თითქოს ოპოზიცია როდესაც რაიმეს აკრიტიკებს, „ის არა ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას მტრობს“, თუმცა ამ კონსტრუქციით „არავის არაფერი მოუგია“ და განაცხადა, რომ ოპოზიცია სწორედ ხელისუფლებას აკრიტიკებს და ამას აკეთებს იმიტომ, რომ ქვეყანა წინ წავიდეს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი არ მოსწონს ოპოზიციას, რადგან „IRI“ კვლევების მიხედვით, ის ყველაზე დაბალრეიტინგულია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდში, ხოლო საზოგადოებაში მისი ცნობადობა ძალიან დაბალია. ასევე, გასაკვირი არ უნდა იყოს კრიტიკა ბიუჯეტის ცვლილებების მიმართ, რადგან იმ ფონზე, როდესაც მცირდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამების და რაიონებისთვის გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი დაფინანსება, იზრდება პიარის მუხლი და საზოგადოების ინფორმირების პროგრამა. მისი თქმით, გაუგებარი და სამწუხაროა, რომ თანხა აკლდება ყველასთვის ყველაზე საჭირო პროექტებს, რომლებიც წყვეტს კონკრეტული ადამიანების პრობლემებს და არ შესრულდება დაგეგმილი და სწორი საქმეები. გიორგი გაბაშვილმა ასევე, ისაუბრა მეტროს თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდაზე და განაცხადა, რომ ეს პრობლემა დგას კომპლექსურად, თუმცა შესაძლებელია მუშაობა, რომ თუნდაც 2018 წლის ბიუჯეტში მოძიებული იქნას რესურსი, რათა გარკვეული პროცენტით გაიზარდოს არა მარტო მეტროს, არამედ საბავშვო ბაღების და ა.შ. თანამშრომლების ხელფასები.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტის 10 მილიონი ლარით ზრდა ქალაქისთვის ყველაზე საჭირო მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი ცვლილებები დეტალურად იქნა განხილული კომისიის სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდნენ ოპოზიციონერი კოლეგები, რადგან მათთვის პრიორიტეტულია არა საკითხის განხილვა, არამედ ტელეკამერების წინ პოზიციის დაფიქსირება, თითქოს ქალაქის და მოსახლეობის პრობლემები აწუხებდეთ. არასწორია ინფორმაცია, თითქოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს მოაკლდა დაფინანსება, რადგან ეს არის სატენდერო ეკონომიებიდან გამოთავისუფლებული თანხა, რომლის გადატანა საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან მოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ რას და რატომ უნდა მოხმარდეს ეს თანხა. რამინა ბერაძე გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატზე გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას „სულ ცოტა, ადამიანს უნდა იცნობდე, რომ მასზე ისაუბრი და ძალიან უხერხულია, რომ დღეს მამუკა ბახტაძე თქვენთან ან თქვენს პარტიასთან გააიგივოთ“.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ გასაკვირი იქნებოდა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ყოფილიყო ოპოზიციის მოსაწონი და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველი საკითხი ეხება თბილისის ბიუჯეტის ზრდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და უმჯობესია საკრებულოს წევრებმა იმსჯელონ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე.

თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა გიორგი გაბაშვილის მოსაზრებას, რომ არ შესრულდება ბიუჯეტით დაგეგმილი კარგი საქმეები და განაცხადა, რომ თბილისის მერმა ორი დღის წინ ისაუბრა ზღვის უბნის დასახლებაში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობაზე, რომელიც

იქნება არა მარტო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯოსების, არამედ რაიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა და განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ ასრულებს წინასაარჩევნო დაპირებებს.

ლილე ლიპარტელიანმა სხდომაზე წარადგინა „UNICEF“-ის კვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2010 წლიდან გაზრდილია აბსოლუტური სიღარიბის კლებადი ტენდენცია, აბსოლუტურს სიღარიბეში მყოფი ოჯახების ნახევარზე მეტი ქრონიკულ სიღარიბეშია, განსაკუთრებით გაზრდილია სიღარიბე ბავშვიან ოჯახებში და მხოლოდ პენსიონერებისგან შემდგარ ოჯახებში, კატასროფულად გაზრდილია სამედიცინო და მედიკამენტების ხარჯები, შემცირებულია განათლების მიღების მაჩვენებელი, კერძოდ, განთლებას ვერ იღებს 15-დან 18-მდე ღარიბი ბავშვების უმეტესობა, ბაღების არ არსებობის გამო, 14000 ბავშვი ვერ დადის ბაღში და განაცხადა, რომ არც თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი და არც დღეს წარმოდგენილი ცვლილებები ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ გამოწვევას არ პასუხობს. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ექვსწლიანი მოღვაწეობა დადებითად ვერ შეფასდება. ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება იზრდება 2927600 ლარით და განაცხადა, რომ ეს არის სწორედ ის თანხა, რაც მეტროს სამდღიანი გაჩერების შედეგად „დაუჯდა ქალაქის ბიუჯეტს ე.წ. უფასო მგზავრობა და რასაც იხდის მოსახლეობა იმ სამდღიანი გაფიცვისთვის“.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ლილე ლიპარტელიანის მიერ ნახსენები თანხის დამატება გამოწვეულია თბილისში ავტობუსის 7 ახალი მარშრუტის დანიშვნით და 25 ერთეული ავტობუსის დამატებით იმ მარშრუტებზე, სადაც საჭირო იყო ავტობუსების მოძრავ ერთეულებს შორის ინტერვალის შემცირება, რადგან ყველა ხაზთან დაკავშირებით იზრდება შეღავათისთვის გამოყოფილი თანხა. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

თანამომხსენებელი: ლევან მიქავა

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ 10 მილიონი ლარი, რომლითაც იზრდება ბიუჯეტი, არის მიზნობრივად გამოყოფილი თანხა და ის უნდა მოხმარდეს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, შესაბამისად ბიუჯეტი იზრდება მხოლოდ ამ მიმართულებით. გარდა ამისა, წარმოდგენილია თბილისის განვითარების ფონდიდან 6.5 მილიონი ლარის გადატანა ინფრასტრუქტურის მიმართულებით, თუმცა ეს არის დროებითი და წლის ბოლოს ეს თანხა უკან დაბრუნდება. ასევე, პრიორიტეტების მიხედვითაა გადანაწილებული სატენდერო ეკონომიებით გამოთავისუფლებული თანხები. გაიოზ თალაკვაძემ გენ.გეგმის მიმართულებით გამოყოფილ თანხაზე აღნიშნა, რომ ეს არის ცალკეული ჩარჩო-გეგმებისთვის გამოყოფილი ასიგნება, რომელსაც არავითარი ფინანსური კავშირი არ აქვს გენ.გეგმის ხელშეკრულებასთან.

ირაკლი ნადირაძის თქმით, როდესაც საუბარია იმაზე, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნისას არ იცავდა მშრომელების უფლებებს, უნდა აღინიშნოს, გარდა იმისა, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ დაფარა ამ ადამიანების დავალიანებები, ყოველწლიურად უზრდიდა ხელფასებს და განაცხადა, რომ მშრომელთა უფლებების დაცვა, პირველ რიგში, არის შესაბამისი ანაზღაურების მიცემა. აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წლების მანძილზე, თბილისის ბიუჯეტის პროეტის განხილვისას, საბიუჯეტო შეთავაზებებში ითხოვდა „თბილსერვის ჯგუფში“, სატრანსპორტო კომპანიაში, „სინათლის ქალაქში“ და საბავშვო ბაღებში დასაქმებული ადამიანების ხელფასების ზრდას არანაკლებ 20%-ით, თუმცა პასუხი იყო, რომ ამ ადამიანებისთვის ხელფასების ზრდას ესაჭიროებოდა დაახლობით 16 მილიონი ლარი და მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, შეუძლია თუ არა მას დაასტუროს აღნიშნული ინფორმაცია. მისი თქმით, არავინ დავობს, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყენებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს, თუმცა, როდესაც ამის პარალელურად თანხები მიემართება თანაპარტიელების დაფინანსებისკენ, მიუღებელია ოპოზიციისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, გაიოზ თალაკვაძე, როგორც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი, ფიქრობს თუ არა, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით შემოღებული უნდა იქნას სპეციალური რეგულაციები.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ქალაქს სჭირდება ისეთი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა ინფრასტრუქტურული პროექტები და ავტობუსების განახლება, რომლებიც არ არის რომელიმე სხვა პრიორიტეტზე უმნიშვნელო და მიმართა ირაკლი ნადირაძეს „2003 წლიდან 2012 წლამდე საქართველოში იყო ანტიმშრომელთა კანონმდებლობა, დამოკიდებულება მშრომელთა მიმართებაში იყო აბსოლუტურად მიუღებელი“, რაც მისი თქმით, არაერთი ორგანიზაციის ანგარიშში ჩანს, ხოლო მას შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებები მიმართული იყო სწორედ მშრომელთა უფლებების კეთილდღეობისკენ.

გიორგი ბირბიჩაძე, დაინტერესდა ცენტრალური ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული სამუშაობისთვის გამოყოფილი 10 მილიონი ლარი თბილისის რაიონული გამგეობების მიხედვით გადანაწილდება თანაბრად თუ განკუთვნილია კონკრეტული პროექტების განხორციელებისკენ.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განხორციელდა შტატების შემცირება 41 ერთეულით და დაინტერესდა, ეს არის სსიპ-ში და ა(ა)იპ-ში არსებული გაორებული საშტატო ერთეულის რაოდენობა თუ ადამიანური რესურსის.

გაიოზ თალაკვაძემ ლილე ლიპარტელიანის კითხვაზე განმარტა, რომ ასახულია შტატების გაუქმება, ხოლო ის, სამ შტატზე ერთი ადამიანი მუშაობდა თუ პირიქით - ერთ შტატზე სამი,

მისთვის უცნობია. ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 10 მილიონი და კიდევ 6.5 მილიონი ლარი, რომელიც ემატება ინფრასტრუქტურის მიმართულებით, განკუთვნილია კონკრეტული პროექტების განხორციელებაზე. ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ აღნიშნული სასურველია ნებისმიერ დროს, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ის, თუ რამდენი პროცენტით არის შესაძლებელი ამა თუ იმ სამსახურში ხელფასის ზრდა, არამედ ძალიან ბევრი ფინანსური დეტალი. მერის სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღებაზე განაცხადა, რომ თუ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“ პროექტს მიაწვდის საფინანსო სამსახურს, ეს უკანასკნელი აუცილებლად განიხილავს მას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულომ, შესაძლებელია, სხვადასხვა ქალაქების ანალოგიების მიხედვით, იმსჯელოს და მერიასთან აწარმოოს მოლაპარაკებები მერის სარეზერვო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღებაზე და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი